



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №47

2017 წელი 31 ივლისი

ქ.ბათუმი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ აჭარისწყალში მდებარე მიწის ნაკვეთის სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მასზე საიჯარო ქირის საფასურის დადგენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის “ე.გ” ქვეპუნქტისა და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მიეცეს თანხმობა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობას პირდაპირი გზით მოახდინოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ აჭარისწყალში მდებარე 16 კვ.მ ფართის (ს/კ 22.31.01.757) სარგებლობაში გადაცემა ააიპ „უსინათლოთა ხმა“-ზე.

2. დადგინდეს სოფელ აჭარისწყალზე მდებარე 16 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 22. 31.01.757) თვიური საწყისი საიჯარო თანხა 80 ლარის ოდენობით ;

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ქონების სარგებლობის ფორმით გადაცემის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი #358) კანონმდებლობით დადგენილი წესის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ ბერიძე